საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 18 მაისი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/28

,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის № 04-01/57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის № 04-01/57 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუსიკის ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობა, ნაცვლად 800 (რვაასი) საათისა, განისაზღვროს 700 (შვიდასი) საათით.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია 2016 წლის სექტემბრიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია